დანართი 1
დამტკიცებულია:
კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის
N07/01-18 (04.10.2024) ბრძანებით

კავკასიის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და შეფასების მექანიზმები

2024

შესავალი

კავკასიის უნივერსიტეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პრიორიტეტს ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. აღნიშნული მიზანი ასახულია კავკასიის უნივერსიტეტის მისიაში, რომელიც ხაზს უსვამს კვლევაზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების ისეთი მიდგომების დანერგვას, რომლებიც პასუხობს საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დემოკრატიულ პრინციპებს.

უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული მიზნები სრულად შეესაბამება ევროპული უმაღლესი განათლების მიზნებს და თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიით განსაზღვრულ ამოცანებთან, ისევე როგორც, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დანერგილ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტებთან.

მაღალი აკადემიური სტანდარტების დაცვისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, კავკასიის უნივერსიტეტი ეყრდნობა ბოლონიის პროცესის პრინციპებსა და მდგრადი განვითარების 2030 წლის მიზნებს. ინტერნაციონალიზაციის პროცესის წარმატებით უზრუნველსაყოფად კი უნივერსიტეტი ირჩევს ,,ყოვლისმომცველი ინტერნაციონალიზაციას'' (Comprehensive internationalization), რომელიც არის სტრატეგიული და კოორდინირებული მიდგომა და უზრუნველყოფს საერთაშორისო, გლობალურ და ინტერკულტურული გამოცდილების ინტეგრირებას საუნივერსიტეტო საქმიანობის ყველა დონეზე, პოლიტიკებში, პროგრამებში, პრაქტიკასა და სერვისებში. აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მონაწილე ყველა რგოლის ჩართულობას, ინდივიდუალურ მიდგომებსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე წვდომის უზრუნველყოფას.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების მხარდაჭერას ახორციელებს კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, რომელიც აქტიურად მუშაობს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტებთან, პროექტების მართვის დეპარტამენტთან, სკოლებთან, ინოვაციების და მეწარმეობის ცენტრთან, საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახურთან, კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტთან, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და ჩართულ მხარეებთან. უნივერსიტეტში შემუშავებული პროცედურებით ხორციელდება საერთაშორისო პარტნიორებთან აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების გაცვლა, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვა, კვლევითი პროექტების ხელშეწყობა, გლობალური უნივერსიტეტების რეიტინგულ სისტემებში პოზიციონირება, საერთაშორისო აკრედიტაციების მოპოვება, საერთაშორისო პარტნიორების ზრდა, პროფესიული ქსელებსა და ასოციაციებში გაწევრიანება და სხვა.

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შედეგების შეფასება და განახლება ხორციელდება სტარტეგიული განვითარების დეპარტამენტთან ერთად შემუშავებული სამწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მექანიზმების, ამოცანების და ინდიკატორების შესრულების საფუძველზე.

კავკასიის უნივერსიტეტის ხედვა

კავკასიის უნივერსიტეტის ხედვაა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ნებისმიერს თავისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა ექნება, რაც მას საერთაშორისო აღიარებასა და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული უნივერსიტეტის სახელს მოუპოვებს კავკასიის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

კავკასიის უნივერსიტეტის მისია

კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, მორალური ღირებულებების მატარებელი და დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და პროცესი

კავკასიის უნივერსიტეტი, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით, თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან და ინსტიტუტებთან. პარტნიორობა მოიცავს სტუდენტების, ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გაცვლას, ერთობლივი პროგრამების, ინსტიტუციური და კვლევითი პროექტების განხორციელებას, სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, მოკლევადიანი პროექტებისა და მასტერკლასების განხორციელებას, საერთაშორისო აკრედიტაციების მოპოვებას, საუკეთესო პრაქტიკის და ცოდნის გაზიარებას და აშ.

უნივერსიტეტი ახორციელებს მნიშვნელოვან საგრანტო პროექტებს, რომლებიც დაფინანსებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ და ითვალისწინებს ინსტიტუციონალურ განვითარებას, ახალი პროგრამების შემუშავებას, სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, კვლევითი ცენტრების შექმნას, საბიბლიოთეკო რესურსის გაზრდას, ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემის ჩამოყალიბებასა, უნივერსიტეტის მესამე მისიის გაძლიერებას, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობადობის ამაღლებას და ინსტიტუციურ და პროგარმულ დონეზე ინტეგრაციას, ასევე სხვადასხვა სახის მხარდამჭერი სერვისების განვითარებას საუნივერსიტეტო ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით. ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს + -ის საერთაშორისო მობილობის პროგრამის ფარგლებში ახორციელებს გაცვლით პროექტებს ევროპელ პარტნიორებთან და კერძო უნივერსიტეტებში პრიველ ხოლო ქვეყნის მასშტაბით მესამე ადგილს იკავებს დაფინანსებული პროექტების რაოდენობით.

კავკასიის უნივერსიტეტის ყოვლისმომცველი (comprehensive) ინტერნაციონალიზაციის პოლიტის წარმართვა ხდება შემდეგი აქტივობების განხორციელებით:

ბაზრის და საზოგადოების მოთხოვნებზე დაფუძნებული აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს საერთაშორისო აკრედიტაციის და აღიარების მოპოვების მიმართულებით და წარმოადგენს ერთადერთ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელმაც წარმატებით მოიპოვა ბრიტანეთის სამეფო არქიტექტორთა ინსტიტუტის RIBA-ს აკრედიტაცია არქიტექტურის პროგრამისთვის, ხოლო გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანზაციის (WTO) TedQual-ის აკრედიტაცია ტურიზმის პროგრამისთვის, ამჟამად უნივერსიტეტი იმყოფება AACSB-ის აკრედიტაციის პროცესის დასკვნით ეტაპზე. უნივერსიტეტი ახორციელებს არაერთ აქტივობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე რელევანტური საერთაშორისო აკრედიტაციების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი პროცესის დაწყებისთვის.

კავკასიის უნივერსიტეტის ბრენდის ცნობადობაზე, იმიჯზე და რეპუტაციაზე მუდმივი ზრუნვა საერთაშორისო ასპარეზზე ერთ-ერთი პრიორიტეტია, შესაბამისად უნივერსიტეტი გაწევრიანებულია არაერთ წამყვან საერთაშორისო საუნივერსიტეტო ასოციაციასა და პროფესიულ ქსელში. უნივერსიტეტის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს "უნივერსიტეტის

პრეზიდენტთა საერთაშორისო ასოციაციის" მმართველთა საბჭოს, რომელიც აერთიანებს 800-მდე უნივერსიტეტის პრეზიდენტს მსოფლიო მასშტაბით და არის უნიკალური საგანმანათლებლო პლატფორმა საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებისა და თანამშრომლობის ქსელის განვითარებისათვის აგრეთვე, შავი ზღვის უნივერსიტეტების კავშირის (The Black Sea Universities Network – BSUN), აღმასრულებელი საბჭოს წევრია, რომელიც მიზნად ისახავს წევრ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლების საერთაშორისო ასოციაციის (NIBES) მმართველი საბჭოს წევრია, შესაბამისად აქტიურად არის ჩართული წამყვანი ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლების ქსელის საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის გაძლიერებასა და გაღრმავებაში. კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელის (NISPAcee) პრეზიდენტია, რომელიც რეგიონის 90-ზე მეტი უნივერსიტეტს აერთიანებს.
კავკასიის უნივერსიტეტი ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) ინდივიდუალური სრული წევრია, აღნიშნული მანდატით კი, უნივერსიტეტი მონაწილობს ისეთი მნიშვნელობის პროცესში, როგორიცაა ევროპული უმაღლესი განათლებისა და კვლევის პოლიტიკის ფორმირება, ევროპაში გავრცელებული საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა და ა.შ ხოლო 2022 წლიდან ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) წევრია, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს უნივერსიტეტის პოზიციონირებას საფრანგეთში. 2019 წელს კავკასიის უნივერსიტეტმა სწორედ საფრანგეთში გახსნა ევროპული კამპუსი რენის ბიზნესის სკოლის (Rennes School of Business) ბაზაზე.

<u>სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის მაქსიმიზაციის (ოპტიმიზაცია) მიზნით</u>
უნივერსიტეტი ახორციელებს უცხოელი სტუდენტების მოზიდვის აქტივობებს და უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში; მონაწილოებას იღებს საერთაშორისო გამოფენებში, საკონტაქტო სემინარებში, თანამშრომლობს აგენტებთან, ამზადებს მარკეტინგულ მასალებს, აქტიურად თანამშრომლობს საზღვარგარეთ მოქმედ საქართველოს საკონსულოებთან და საელჩოებთან, და სხვ. უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მოახდინოს ახალი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნების იდენტიფიცირება სტუდენტების რეკრუტინგის მიმართულებით, ამ პროცესში აქტიურად ხორციელდება კონკრეტული ქვეყნის საგანმანათლებლო ბაზრის კვლევა და უმაღლესი განათლების მიმართულებით არსებული რეგულაციების შესწავლა.

<u>საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების მიზნით,</u>
კავკასიის უნივერსიტეტი როგორც ქართველ, ისე უცხოელ სტუდენტს ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ კავკასიის უნივერსიტეტი პირველი ქართული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც წარმატებით ახორციელებს 3 წლიან ერთობლივ საბაკალავრო პროგრამის ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან: ფერლი დიკენსონის უნივერსიტეტი აშშ; ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი, აშშ , რენის ბიზნესის სკოლასთან, საფრანგეთი.
სამაგისტრო საფეხურზე ხორციელდება შემდეგი ერთობლივი საგანმანათლებლო და სასერტიფიკატო პროგრამები შემდეგ უნიევსრიტეტებთან: ვილდაუს გამოყენებით მეცნიერებათა ტექნიკურ უნივერსიტეტი, გერმანია, როუზენის მასპინძლობის მენეჯმენტის კოლეჯი, აშშ, გრენობლის მენეჯმენტის სკოლა, საფრანგეთი.

<u>სტუდენტების/აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი დონეზე ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების</u> მიზნით კავკასიის უნივერსიტეტი თანამშრომლობს 250 ზე მეტ უნივერსიტეტთან მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნული პარტნიორობა მოიცავს სტუდენტების, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გაცვლას, ერთობლივი ინსტიტუციური და კვლევითი პროექტების განხორციელებას, სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, მოკლევადიანი პროექტებისა და მასტერკლასების განხორციელებას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და ახალი სტანდარტების დანერგვას. ასვეე აღსანიშნავია, რომ კავკასიის უნივერიტეტი აქტიურად არის ჩართული ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამებში. ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტი ახორციელებს სრულად დაფინანსებული მობილობის პროექტებს. უნივერსიტეტი ახორციელებს ისეთ გაცვლითი პროგრამებს, რომელთა ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა კრედიტების აღიარების საფუძველზე მიიღონ მეორე დიპლომი, ისეთი წამყვანი უნივერსიტეტებისგან, როგორებიცაა: გრენობლის მენეჯმენტის უმაღლესი სკოლა, ISCTE-ს ლისაბონის ბიზნესის სკოლა და ზემო ავსტრიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლა.

<u>კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების</u> მიზნით უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ერთობლივი ინსტიტუციური და კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით. უნივერსიტეტში მიმდინარეობს ფუნდამენტური, გამოყენებითი, პედაგოგიური, ინსტიტუციური განვითარებისკენ მიმართული კვლევითი პროექტები, დაფინანსებული როგორც ეროვნული, ასევე, უცხოური/საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ, რომლის მიზანია სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მიღწევა, როგორც საუნივერსიტეტო დონეზე, ასევე, გარკვეული წვლილის შეტანა ქვეყნის კვლევებისა და ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებაში. აღნიშნული კვლევების ფარგლებში მიღებული ცოდნის დისემინაცია ხდება უცხოურ და საუნივერსიტეტო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების გზით. უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს აკადემიური პერსონალის გამოაქვეყნონ სტატიები ციტირებისა და აბსტრაქტების საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ მაღალი სამეცნიერო ღირებულების ჟურნალებში, მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში. უნივერსიტეტი წარმატებით ახორციელებს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა პროექტებს. მათ შორის არის ჟან მონეს პროგრამის მრავალი პროექტი, კერძოდ კავკასიის უნივერსიტეში მოქმედებს ჟან მონეს წარმატების ქსელი (JM Center of Excellence), კათედრა და ჟან მონეს მოდულის პროექტები, რაც უნივერსიტეტს ჟან მონეს და ევროპლი სწავლების ჰაბად აქცევს. უნივერსიტეტი აქტიურად არის ერაზმუს პლიუსის ინსტიტუციური განვითარების პროექტებში ჩართული, რომელთა მიზნებია აკადემიური და კვლევის კეთილსინდისიერების სტანდარტების დანერგვა, უნივერსიტეტის მესამე მისიის გაძლიერება, მდგრადობის და მწვანე ტურიზმის მიმართულების განვითარება, სტუდენტებისთვის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შექმნა, ტექნოლოგიური უნარების განვითარება, კვანტური ლაბორატორიის შექმნა და სხვ. უნივერსიტეტის მკვლევარები ასევე აქტიურად არიან ჩართული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ევროპული თანამშრომლობის ორგანიზაციის (COST) მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში და პროექტებში.

კავკასიის უნივერსიტეტი ხელს უწყობს ეკონომიკურ აგენტებთან ერთობლივ კვლევით აქტივობებს, რომლის მიზანია ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარება. ამერიკის მთავრობის და საელჩოს დახმარებით განხორციელდა არაერთი პროექტი, რომელიც უკავშირდებოდა ინოვაციების და მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარებას, როგორც საქართველოში ისე კავკასიის უნივერსიტეტში, განხორციელდა არაერთი ტექნოლოგიური

ბანაკი და სტარტაპ პრე -აქსელერაციის პროგრამა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ინოვაციიების და მეწარმეობის ცენტრთან თანამშორმოლობით.
უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომოლობს გაეროს UNAI -სთანდ და UN-ის გლობალური შეთანხმების ქსელის წარმომადგენლობასთან საქართველოში. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში უნივერსიტეტის ინოვაციების და მეწარმეობის ცენტრი ყოველწლიურად ახორციელებს მდგრადი განვითარების მიზნების აქსელერაციის პროგრამას ახალგაზრდა ლიდერებისთვის. კვლევითი პოტენციალის გაძლიერების და ინოვაციური კულტურის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში შექმნილია კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მექნიზმი, რომელიც განკუთვნილია ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების და ასევე, სწავლა-სწავლებისა და პედაგოგიური საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებული კვლევა-საქმიანობის დასაფინანსებლად,ასევე აკადემიურ პერსონალს და სამივე საფეხურის სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ დაფინანსება ადგილობრივ / საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის, ნაშრომის მომზადებისა და პროფესიულ ან/და სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებისთვის. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია რომელშიც მონაწილეობას იღებენ პარტნიორ უნივერსიტეტის საერთაშორისო მკვლევარები. უნივერსიტეტი აკადემიურ პერსონალს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ, კონსულტირებას უწევს საპროექტო განაცხადის ფორმალური მხარის უზრუნველყოფაში.

კავკასიის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული ამოცანები და შეფასების მექანიზმები:

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში ინტერნაციონალიზაცია ერთ- ერთ სტრატეგიული მიზანს წარმოადგენს. სამ წლიან სამოქმედო გეგმაში კი ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნის განსახორციელებლი სტარტეგიული ამოცანები განაწილებულია სტრატეგიული რუკის შემდეგ ნიშნულებში: მომხმარებელთა ნიშნული, პროცესების ნიშნული და რესურსების ნიშნული. (იხ. დანართი 1)
ინტერნაციონალიზაციის პროცესის გამჭვირვალობის, უწყვეტობისა და მუდმივი განვითარების მიზნით, პროცესის მართვასა და კოორდინირებაში ჩართული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები ახორციელებენ ინტრენაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის რეპორტინგს და განახლებას საუნივერსიტეტო ელექტრონულ პლატფორმაზე, სადაც თავმოყრილია როგორც რაოდენობრივი მაჩვენებლები, ისე ამ მიმართულებით განსახორციელებული აქტივობები ნიშნულების შესაბამისად. ყოველწლიური მონიტორინგის შედეგად კი ხდება პროცესის შეფასება და მისი გაუმჯობესებისათვის შესაბამისი საუნივერსიტეტო აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება.

მომხმარებელთა ნიშნული:

C1: სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის მაქსიმიზაცია (ოპტიმიზაცია)CU ყველა ლოკაციაზე საერთო შემოსავალის ზრდასთან მიმართებაში

საზომი ინდიკატორები:

- ხარისხის მაძიებელი საერთაშორისო სტუდენტების მიღების რაოდენობა გაზაფხულის სემესტრში
- ხარისხის მაძიებელი საერთაშორისო სტუდენტების მიღების რაოდენობა შემოდგომის სემესტრში

C3. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება სტუდენტების დონეზე

საზომი ინდიკატორები:

- ბილატერალურ (Bilateral) გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა მობილობის (incoming) რაოდენობა
- ბილატერალურ (Bilateral) გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა მობილობის (outgoing) რაოდენობა
- ერაზმუს + (erasmus +) გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა მობილობის (incoming) რაოდენობა
- ერაზმუს+ (Erasmus +) გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა მობილობის (outgoing) რაოდენობა
- მოკლევადიან საერთაშორისო პროგრამებში (საზაფხულო პროგრამები, მოკლევადიანი სასწავლო კურსები, საერთაშორისო კონკურსები) მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა (outgoing)
- მოკლევადიან საერთაშორისო პროგრამებში(საზაფხულო პროგრამები, მოკლევადიანი სასწავლო კურსები, საერთაშორისო კონკურსები) მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა (incoming)
- უცხოელი სტუდენტების ინტეგრაციასთან დაკავშირებული განხორხციელებული სოციალური აქტივობების რაოდენობა
- ხარისხის მაძიებელი აქტიური სტატუსის საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობა

პროცესების ნიშნული:

P1: ბაზრის და საზოგადოების მოთხოვნებზე დაფუძნებული აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადგილობრივი და საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

- მიმდინარე აკადემიურ წელს საერთაშორისო (რე)აკრედიტაციის მქონე
- პროგრამების რაოდენობა
- მიმდინარე აკადემიურ წელს საერთაშორისო (რე)აკრედიტაციისას მიღებული
  შეფასებების მაჩვენებელი სტანდარტებთან მიმართებაში

P3: **ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე**

საზომი ინდიკატორი

- მიმდინარე აკადემიურ წელს (რე)აკრედიტებული ერთობლივი პროგრამების რაოდენობა (Dual degree or/and double degree or/and joint degree)

- მიმდინარე აკადემიურ წელს (რე)აკრედიტებული უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა
- მიმდინარე აკადემიურ წელს ერთობლივი პროგრამების (რე)აკრედიტაციისას მიღებული შეფასებების მაჩვენებელი სტანდარტებთან მიმართებაში
- მიმდინარე აკადემიურ წელს უცხოენოვანი პროგრამების (რე)აკრედიტაციისას მიღებული შეფასებების მაჩვენებელი სტანდარტებთან მიმართებაში

P4 ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება კვლევითი საქმიანობის დონეზე
საზომი ინდიკატორი

- საერთაშორისო კვლევითი პროექტების რაოდენობა
- საერთაშორისო ჟურნალებში (ციტირებისა და აბსტრაქტების მონაცემთა ბაზებში ინდექსირებულ) პუბლიკაციების რაოდნეობა
- საერთაშორისო აკადემიურ კონფერენციებში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობა
- კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა
- საერთაშორისო კვლევითი (Joint research) კოლაბორაციის რაოდენობა

P10: კავკასიის უნივერსიტეტის ბრენდის ცნობადობაზე, იმიჯზე და რეპუტაციაზე მუდმივი ზრუნვა ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე.
საზომი ინდიკატორები:

- Erasmus + საერთაშორისო პარტნიორების არსებული რაოდენობა
- ახალი Erasmus + და ბილატერალური საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა
- ახალი Erasmus + საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა
- ახალი ბილატერალური საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა
- ბილატერალური საერთაშორისო პარტნიორების არსებული რაოდენობა
- საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის რაოდენობა
- საერთაშორისო პარტნიორების (ბილატერალური და Erasmus +) რაოდენობა
- განათლების საერთშორისო გამოფენებში მონაწილეობის რაოდენობა
- განათლების ავტორიტეტულ სარეიტინგო სისტემებში უნივერსიტეტის და/ან სკოლების და/ან პროგრამების პოზიციის მაჩვენებელი
- განათლების ავტორიტეტულ სარეიტინგო სისტემებში უნივერსიტეტის პოზიციის მაჩვენებელი

რესურსების ნიშნული

R3: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დონეზე
საზომი ინდიკატორები:

- გაცვლით პროგრამებში მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა (outgoing)
- გაცვლით პროგრამებში მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა (incoming)
- გაცვლით პროგრამებში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობა (incoming)
- გაცვლით პროგრამებში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობა (outgoing)
- სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალის რაოდენობა
- უცხოელი ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა